

ანტიკური ლიტერატურა

პოლიტიკური ლიდერის მხატვრული სახის ოპოზიციები პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებში (ძმები გრაკეუსები)

თათია მარდალეიშვილი

mardaleishvili.tatia@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახლემწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

განხილულ მასალაზე დაყრდნობით, გაგვიჭირდება იმის თქმა, პლუტარქე, უპირატესად, წარმოსახავს, ლიდერებს, როგორც დადებით, თუ როგორც უარყოფით პერსონაჟებს. ეს რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, შევეცდებით, მოვიტანოთ ერთგვარი ნუსხა იმ ოპოზიციური თვისებების, რომელთა გამოკვეთა ხერხდება მიმოხილულ მასალაში. ეს თვისებები, ძირითადად, დაიყვანება ფუნდამენტალურ ოპოზიციურ წყვილამდე - კარგი/ცუდი. შევეცდებით, განვაღლოთ ისინი ორ შესაბამის გრაფაში, სამ ჯგუფად: 1. ვინ არის პლუტარქეს ლიდერი; 2. როგორია პლუტარქეს ლიდერი; 3. რა გააკეთა პლუტარქეს ლიდერმა. ვფიქრობთ, ამ პრობლემატიკის შესწავლა ქართულ კლასიკურ ფილოლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში კვლევის ახალ ასპექტებს წარმოაჩენს, თანამედროვე ლიდერებისთვის ძმები გრაკეუსები კიდევ დიდხანს იქნებიან ტონის მიმცემი, მისაბაძი მაგალითები, ხოლო მკითხველისთვის - აღფრთოვანების საგანი იმ დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით, რომლებიც პლუტარქემ უკვდავყო თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“.

საკვანძო სიტყვები: პლუტარქე, პარალელური, ბიოგრაფიები, პოლიტიკური, ლიდერი.

პოლიტიკური ლიდერის ფენომენი სახელმწიფოს წარმოშობის დღიდან საზოგადოებრივი ცხოვრების თანმდევ მოვლენად იქცა. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ლიდერთა ბიოგრაფიული პორტრეტებიდან კარგად ჩანს, რაოდენ გადამწყვეტ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ „პირველები“ ისტორიის შექმნაში. სახელმწიფოსა და ხალხის კეთილდღეობა, არსებითად, დამოკიდებულია პოლიტიკურ ლიდერებზე, რომელთა ხელშია მართვის სადავეები და რომელთაც გაცნობიერებული

თ. მარდალეიშვილი

აქვთ ქვეყნისათვის საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობა (Bundy & Pfarrer 2015:336-340).

აქტუალობას არ უნდა იყოს მოკლებული ლიდერის ფენომენის შესწავლა ანტიკურ ეპოქაში, რომელიც საქვეყნოდ არის ცნობილი თავისი პოლიტიკური მოღვაწეებით.

კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებში აღწერილი სახელმწიფო მოღვაწეები ლიდერისათვის დამახასიათებელ რა უნარ-ჩვევებს ფლობდნენ და რა გახდა მათი წარმატებისა თუ მარცხის მიზეზი; რამდენად თანხვედრაშია ლიდერობის პლუტარქესული და თანამედროვე განსაზღვრებები; რა თვისებები განაპირობებს უძველეს სახელმწიფო მოღვაწეთა წარმატებებს თუ მარცხს; რატომ არიან ისინი დღემდე მიბაძვისა და აღფრთოვანების ობიექტები; როგორ იქცევიან კრიტიკულ სიტუაციაში, როგორ ურთიერთობენ მასებთან, რამდენად შეუძლიათ ადამიანებზე გავლენის მოხდენა, კრიზისული სიტუაციების მართვა; რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის - სახელმწიფო და ხალხი, თუ პირადი ინტერესები და ამბიცია; რამდენად აისახა მათი საქმიანობის შედეგები სახელმწიფოსა და ხალხის კეთილდღეობაზე და სხვ.

განხილულ მასალაზე დაყრდნობით გაგვიჭირდება იმის თქმა, პლუტარქე, უპირატესად წარმოსახავს, ლიდერებს, როგორც დადებით, თუ როგორც უარყოფით პერსონაჟებს. ეს რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, შევეცდებით, მოვიტანოთ ერთგვარი ნუსხა იმ ოპოზიციური თვისებების, რომელთა გამოკვეთა ხერხდება მიმოხილულ მასალაში. ეს თვისებები, ძირითადად, დაიყვანება ფუნდამენტალურ ოპოზიციურ წყვილამდე - კარგი/ცუდი. შევეცდებით, განვალაგოთ ისინი ორ შესაბამის გრაფაში, სამ ჯგუფად: 1. ვინ არის პლუტარქეს ლიდერი; 2. როგორია პლუტარქეს ლიდერი; 3. რა გააკეთა პლუტარქეს ლიდერმა.

ამ საკითხებს განვიხილავ ოპოზიციური წყვილის ტიპერიუს გრახვუსი/გაიუს გრახვუსი მაგალითზე. ტიპერიუს და გაიუს გრახვუსებმა, როგორც პოლიტიკურმა ლიდერებმა, დიდი წვლილი შეიტანეს რომაელთა ცხოვრებაში, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ხასიათით, პრინციპებით. ისინი წარმატების სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირად ეფექტურ გასაღებს ფლობდნენ (Cammock 1991: 2021; Mazzei & Ravazzani 2015: 68-71).

თავდაპირველად, ვისაუბრებ იმ თვისებებზე, რომლებიც ორივე ძმას ერთნაირად ჰქონდა. პლუტარქე აღნიშნავს: „ახალგაზრდა გრავხუსთა მოქმედებებსა და პოლიტიკურ მოღვაწეობაში მკვეთრად ჩანს საკმაოდ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამზ, 2023, №1(21)

დიდი განსხვავება“ (პლუტ. პარ. ბიოგრ. ტიბ. გრაკ. 2, 4-5). თუმცა, იქვე მიგვანიშნებს მმების მრავალ მსგავსებაზე, „რაც მუღავნდებოდა მათ მამაცობასა და თავმდაბლობაში, კეთილშობილებაში, მჭევრმეტყველებასა და დიდსულოვნებაში“ (ტიბ. გრახკ. 2, 6-9). სხვაგან ამატებს: „სამართლიანობა მდაბიოთა მიმართ, დარბაისლობა სახელმწიფო საქმეთა აღსრულების დროს და განცხრომა-ნებივრობაში თავდაჭერილობა ერთსაც და მეორესაც ერთნაირად ახასიათებდა“ (ტიბ. გრახკ. 2,10-15).

შევეცდები, მოვიყვანო გრაკეუსებისათვის დამახასიათებელ ამ მსგავს თვისებათა დამატკიცებელი მაგალითები ტექსტიდან:

მამაცობა - „ლიბიის ლაშქრობის ჟამს, ტიბერიუსმა, ტოლებთან შედარებით, მალე გამოიჩინა თავი დიდი წესრიგით და სიმამაცით. ფანიუსის გადმოცემით, იგი პირველად ავიდა თურმე მტრის ქალაქის კედელზე და მისი გმირობის მონაწილე გახდა“ (პლუტ. პარ. ბიოგრ. ტიბ. გრახკ. 4,30-33); „გაიუსი დიდად გამოიჩინა სხვა ახალგაზრდებს შორის მამაცობით, სამართლიანობით, რაც ხელქვეითებთან ურთიერთობაში იჩენდა თავს“ (გაიუს გრახკ. 2,2-4).

თავმდაბლობა - როცა ტიბერიუსმა თავისი კანონისათვის წმის მისაცემად ხალხი მოიწვია, ამას მდიდრების მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა. ტიბერიუსს იმდენი მხარდამჭერი ჰყავდა, თავისუფლად შეეძლო მიზნის მიღწევა, თუმცა, მან ანგარიში გაუწია ყოფილ კონსულებს, რომლებიც სთხოვდნენ, რომ კენჭისყრა შეეწყვიტა. იგი მიუბრუნდა კონსულებს, რომლებსაც დიდ პატივს სცემდა და ჰკითხა: „აბა, თქვენ რას მირჩევთ, როგორ მოვიქცეო. მანლიუსმა და ფულვიუსმა ტიბერიუსს მიუგეს, რომ მათ არ ძალუმთ ასეთ დიდ საქმეში რჩევის მიცემა და დაუუინეს, თხოვნით სენატისათვის მიემართათ. ტიბერიუსი მყისვე დათანხმდა (ტიბ. გრახკ. 11,11-14); გაიუსს, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა შესაძლებლობა, კონსული გამხდარიყო, ეს შანსი არ გამოუყენებია და საკონსულო არჩევნების დღეს თავისი კანდიდატურის ნაცვლად „ხელჩაკიდებული მოიყვანა ფანიუსი და მეგობრების დახმარებით კონსულად წამოაყენა (გაიუს გრახკ. 8,11-12).

კეთილშობილება - ტიბერიუსმა შეიმუშავა მიწის კანონი, რომელიც არისტოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ჩადენილი უსამართლობისათვის სასტიკ სასჯელს იმსახურებდნენ, კანონი მათ მიმართ ძალზე

თ. მარდალეიშვილი

ზომიერი იყო. „ტიბერიუსის კანონი მხოლოდ იმას უბრძანებდა, რომ სასყიდელის მიღების შემდეგ, მდიდრებს ხელი აეღოთ მიწებზე და გადაეცათ ისინი იმ მოქალაქეთათვის, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა“ (ტიბ. გრახვ. 9, 11-14); „იმ კანონთაგან, რომლებიც გაიუსმა ხალხის საკეთილდღეოდ და სენატის ძლიერების დასასუსტებლად წამოაყენა, ერთი კანონი საზოგადოდ ღარიბებისათვის მიწის დარიგებას ითვალისწინებდა“ (გაიუს გრახვ. 5, 1-3).

მჭევრმეტყველება - „ტიბერიუს მეტისმეტად დახვეწილი და ფაქიზად დამუშავებალი მეტყველება ჰქონდა, ხოლო გაიუსს- დამაჯერებელი და ფერადოვანი“ (ტიბ. გრახვ. 2,20-23).

დიდსულოვნება - სარდალ გაიუს მანციუსის ხელმძღვანელობით ინსპირირებულ ბრძოლაში რომაელებმა მრავალი მარცხი განიცადეს. მიუხედავად ამისა, მოცემულ სიტუაციაში ტიბერიუსმა გამოავლინა არამარტო უსაზღვრო გონიერება და სიმამაცე, „არამედ, რაც უფრო საკორველია, დიდი მოკრძალება და პატივისცემა თავისი უფროსისადმი, რომელიც ისე იყო გაოგნებული წარუმატებლობით, რომ აღარც კი ახსოვდა, სარდალი თუ იყო (ტიბ. გრახვ. 5,9-11); გაიუსმა მის მიერვე შემუშავებული კანონი გააუქმა. აღნიშნული კანონის ძალით, ხელმეორედ თანამდებობის დაკავების უფლება არ ჰქონდა იმ პირებს, რომლებსაც ერთხელ უკვე ჩამოერთვათ თანამდებობა. ეს კანონი ღირსებას ჰყოფილ ტრიბუნს, ოქტავიუსს, თუმცა, გაიუსმა კანონი უკანვე წაიღო. მან განაცხადა: „დედაჩემ კორნელიას თხოვნით, ოქტავიუსისათვის მიპატიებიაო“ (გაიუს გრახვ. 4,14-16).

სამართლიანობა მდაბიოთა მიმართ - ტიბერიუსი შეუპოვრად იცავდა დარიბთა უფლებებს და ცდილობდა, ოქტავიუსი დაერწმუნებინა, მოქმედნა აკრძალვა მის მიერ მიღებულ კანონზე. იგი „საჯაროდ ემუდარებოდა, დაეკმაკოფილებინა სამართლიანი მოთხოვნა იმ ხალხისა, რომელსაც განუწყვეტილი ჯაფის და მძიმე განსაკდელის სამაგიეროდ სულ მცირე გასამრჯელო ეძლეოდა“ (ტიბ. გრახვ. 11,22-24); გაიუსს იმდენად შესტკიოდა გული რომის მოსახლეობის დაბალ ფენებზე, რომ მათ მიმართ უსამართლო მოპყრობას მეგობრებსაც არ პატიობდა. როცა გლადიატორთა ბრძოლის სანახავად ამ საქმის ორგანიზატორებმა მოედნის ირგვლივ მერხები დადგეს და მათ დასაკავებლად ფასი დააწესეს, „გაიუსმა უბრძანა, დაუყოვნებლივ აეღოთ ეს მერხები, რათა ღარიბ ხალხს დაცლილი ადგილიდან უფასოდ შეძლებოდა სანახაობის ცქერა“ (გაიუს გრახვ. 12,27-29).

განცხრომა-ნებივრობაში თავდაჭერილობა - „ტიბერიუსი ცხოვრებაშიც უბრალო და ჭამაშიაც გაურჩეველი კაცი იყო“ (ტიბ. გრახვ. 2,23-24); გაიუსს რაც შეეხება თუ „მას სხვა რომაელებს შევუდარებთ, ასევე მოკრძალებული და თავდაჭერილი ჩანდა“ (ტიბ.გრახვ.2, 25 26).

ამბიციურობა და პირველობისაკენ სწრაფვის სურვილი, რომლებიც, როგორც ჩანს, დედამ შთაუნერგა შვილებს. „იგი ხშირად კიცხავდა თურმე შვილებს - რომაელები ჯერ კიდევ სციპონის დედას მეძახიან და არა გრახვუსთა დედასო“ (ტიბ.გრახვ.8,38-40).

პატიოსნება, რომლითაც ტიბერიუსმა და გაიუსმა მოიპოვეს ხალხის ნდობა - ტიბერიუს გრახვუს პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, იმდენად, რომ მტრის მხედრობაშიც დიდ პატივს სცემდნენ და ენდობოდნენ. როცა სარდალ მანციუსის ხელმძღვანელობით წარმოებულ ბრძოლაში რომაელები დამარცხდნენ, მანციუსმა მტრეს ელჩები მიუგზავნა და დაზავება მოსთხოვა, „მათ კი შეუთვალეს: ტიბერიუსის გარდა ჩვენ არავის ვენდობით, ამიტომ მოსალაპარაკებლად ის გამოგზავნე ჩვენთანო“ (ტიბ.გრახვ.5,20-23); გაიუსმა თავისი საქმიანობით იმდენად მოიხვეჭა სახელი ხალხში, რომ ის მეორედ აირჩიეს ტრიბუნად. „ამას მიაღწია არა ხვეწნითა და ძალდატანების გზით, არამედ იმ ნდობისა და სიყვარულის წყალობით, რომელიც ხალხს მის მიმართ ჰქონდა“ (გაიუს.გრახვ.8,14-16).

ქვეყნის გულშემატკივრობა, რომელმაც ორივე ძმას ბევრი უსიამოვნება მოუტანა - გაიუს გრახვუსი ამბობს: „როცა ნუმანციაში მიმავალმა ტიბერიუსმა ეტრურიაზე გადაიარა, აქ უდაბნოდ ქცეული მხარე იხილა და დაინახა, რომ ისინი, ვინც მიწას ხნავდნენ და საქონელს აძოვებდნენ, სულ უცხოელები და ბარბაროსები იყვნენ. აი, მაშინ მოუვიდათ პირველად გონებაში ის პოლიტიკური განზრახვა, რამაც მასაც და მეც ათასი უბედურება დაგვატეხა თავსო“ (ტიბ.გრახვ.8,49-55).

კრიტიკულ სიტუაციაში სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი - ტიბერიუსმა, როცა ის სახალხო ტრიბუნად აირჩიეს, გაითვალისწინა ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. მან ყველაზე უფრო გაბედული და საჭირო პოლიტიკური სვლა გააკეთა, როცა გამოსცა კანონი მდიდრების მიერ უკანონოდ მითვისებული მიწების იმ მოქალაქეთათვის გადაცემის თაობაზე, რომელთაც დახმარება ესაჭიროებოდათ. ტიბერიუსმა უძველესი აგრალური კანონის აღდგენის კანონპროექტი წარადგინა გაიუსმაც აქტიურად გააგრძელა მმის პოლიტიკური კურსი. ძმებმა გარისკეს, როცა გადაწყვიტეს ისეთი რეფორმის გატარება, რომელიც ოპოზიციის გააძლიერებადა თუმცა, მათი

თ. მარდალეიშვილი

ეს ნაბიჯი აუცილებლობით იყი განპირობებული. მათ მიერ გაწეული რისკი დაკავშირებული იყო იმასთან, რომ სურდათ მიეღწიათ უკეთესი შედეგისათვის.

პასუხისმგებლობის აღების უნარი - „როგორც კი ტიბერიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს, მან მყისვე მთელი მგზნებარებით მოჰკიდა ხელი ლელიუსის წამოწყებულ საქმეს“ მიწების გადანაწილებასთან დაკავშირებით (ტიბ. გრახვ. 8,29-31). გაიუსმა, როგორც კი გახდა ტრიბუნი, მაშინვე „ორი კანონი შეიტანა სახალხო კრებაზე დასამტკიცებლად“ (გაიუს. გრახვ. 4,2-3).

თვითკონტროლი - ტიბერიუს ყველაზე რთულ მდგომარეობაშიც კი შეეძლო მოწინააღმდეგებისან მშვიდად ესაუბრა ყოველგვარი უცენზურო სიტყვებისა და პირადი შეურაცყოფის მიყენების გარეშე. როც ტიბერიუსმა სახალხო ტრიბუნატში მიწის შესახებ ახალი კანონი გაიტანა, მის წინააღმდეგ გამოვიდა ტრიბუნი მარკუს ოქტავიუსი. მიუხედავად გაცხარებული კამათისა, წერს პლუტარქე, „ტიბერიუსა და ოქტავიუსა, როგორც გადმოგვცემენ, ერთმანეთის შეურაცხმყოფელი არაფერი უთქვამთ და რისხვის ჟამს არც ერთი უკადრისი სიტყვა არ წამოსცდენიათ“ (ტიბ. გრახვ. 9, 23-25); გაიუსს ზოგჯერ უჭირდა ემოციების მოთოვა. სიტყვის წარმოთქმისას ისე გაფიცხდებოდა, ლანძღვა-გინებას იწყებდა და ყველაფერს ერთმანეთში ურევდა, თუმცა, „ერთ გონიერ მონას საკრავით ხელში ყოველთვის ზურგს უკან იყენებდა. ეს მონა, როგორც კი შეატყობდა, გაიუსი ლაპარაკის დროს ხმას უმაღლებდა და გაფიცხებული სადაცაა ძირითად თემას დაშორდებაო, თავისი საკრავით რბილ ხმას გამოსცემდა და გაიუსიც მაშინვე დაბლა უწევდა ხმას და დამთმობი ხდებოდა“ (ტიბ. გრახვ. 2,33-38).

ახლა შევცდებით ვაჩვენოთ, რითი განსხვავდებოდა ორი წარმატებული, რომაელებისთვის ერთნაირად საყვარელი ლიდერი ერთმანეთისგან. მეტი თვალსაჩინოებისთვის განსხვავების დამადასტურებელ არგუმენტებსაც პარალელურად წარმოვაჩენთ.

ტიბერიუს გრახვუსი	გაიუს გრახვუსი
„ტიბერიუსი ბუნებით მშვიდი და თავდაჭერილი იყო, მისი სიტყვაც კი სასიამოვნო გახლდათ“ (ტიბ. გრახვ. 2,11-12).	„რაც შეეხება გაიუსს, ის მგზნებარე და ფიცხი კაცი იყო. მისი სიტყვა შიშს იწვევდა ხალხში (ტიბ. გრახვ. 2,10-11)

პაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2023, №1(21)

<p>მნიშვნელოვან დაკავშირებით და იზიარებდა მოსაზრებებს. „კანონი ტიბერიუსს ერთპიროვნულად არ შეუდგენია. ამ საქმეში იგი ხელმძღვანელობდა იმ მოქალაქეთა რჩევა-დარიგებით, რომელიც თავიანთი ვაჟკაცობისა და სახელის წყალობით რომში პირველობდნენ“ (ტიბ.გრახვ.9,1-3).</p>	<p>გაიუსი „ყველა საქმეს თვითონვე ჩაუდგა სათავეში და არა მარტო არ იღლებოდა ეგზომ დიდ საქმეთა სიმძიმით, არამედ გაკვირვებასაც კი იწვევდა თავისი სისწრაფითა და შრომისმოყვარეობით. ამას იგი თითოეულ საქმეში იჩენდა და ისე მიჰყავდა ბოლომდე ესა თუ ის წამოწყება, თითქოს ამის მეტი საზრუნვი არა ჰქონდა “ (გაიუს. გრახვ.6,15-19).</p>
<p>ტიბერიუსი, როგორც კი მიეცა შესაძლებლობა, მაშინვე აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, ყველაზე ღიად დაუპირისპირდა არისტოკრატიას და შეუპოვრად დაიწყო ღარიბთა უფლებების დაცვა.</p>	<p>გაიუსი კი საწყის ეტაპზე ტიბერიუსისაგან განსხვავებით დიდად არ გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტივობით. მან კარგად იცოდა ტიბერიუსს რა ბედი ეწია, ამიტომ, სანამ პოლიტიკური პროცესების ქარცეცხლში ჩაერთვებოდა, გადაწყვიტა, მყარად მოვეიდა ფეხი, რათა შემდეგში არ დაებრკოლებინა იმ სირთულეებს და წინააღმდეგობებს, რომლებიც მიზნისაკენ მიმავალგზაზე შეხვდებოდა.</p>
<p>ტიბერიუსი ყველაფერს აკეთებდა, რათა დაეკანონებინა სენატის ძლიერება. „იმდენად დიდი იყო მასში ეს სურვილი, რომ ამას აკეთებდა არა იმდენად სამართლიანი და სასარგებლო მოსაზრებით, რამდენადაც, პირადი რისხვისა და ჯიუტობის მიზეზით“ (ტიბ.გრახვ.16,11-14).</p>	<p>გაიუსს რაც შეეხება „მიუხედავად დიდი გავლენისა სენატში, ყოველთვის ისეთი წინადადება შეჰქონდა, რომელიც სენატის ძირსებას შეეფერებოდა“ (გაიუს. გრახვ.6,5-7).</p>
<p>ტიბერიუსი თავისი კანონების გატარებისას მხოლოდ გლეხებს ეყრდნობოდა.</p>	<p>გაიუსმა გაითვალისწინა უფროსი ძმის გამოცდილება და მიწის ახალი გადაწილებისათვის იგი შეეცადა არამარტო გლეხებს, არამედ მხედრებსა და მიწათმოქმედებს, რომლებიც სახელმწიფოს მართვაში არ მონაწილეობდნენ ასევე მოსახლეობის დაბალ ფეხებს დაყრდნობოდა. გაიუსის მნიშვნელოვანი კანონები არისტოკრატების წინააღმდეგ მოსახლეობის ყველა კლასის გაერთიანებას ცდილობდა.</p>
<p>ტიბერიუსი, კონცენტრირებული იყო პლებასის კეთილდღეობაზე და მისი ყველა კანონი ამ მიზნის რეალიზებას ემსახურებოდა.</p>	<p>გაიუსმა, გარდა მსგავსი კანონებისა, შეადგინა კანონები ახალშენთა დაარსების, გზების გაყვანის და საზოგადო ბედლების აშენების თაობაზე. გაიუსი ქვეყნის კულტურულ განვითარებაზეც ზრუნავდა.</p>

თ. მარდალეიშვილი

და ბოლოს, საინტერესოა, რომელი იყო უფრო წარმატებული ლიდერი და რომელი თვისება აღმოჩნდა მათთვის ხელის შემშლელი აღმასვლაში. ძნელია ამაზე დღეს ვიმსჯელოთ. ფაქტია, რომ ძმებმა ერთნაირი წარმატებით გამოიყენეს ხალხთან ურთიერთობის უნარი და მჭევრმეტყველებით მასების დარწმუნების ნიჭი (D'Aveni, & MacMillan 1990: 18-21); მთელი ცხოვრება პლებსის მდგომარეობის გაუმჯობესებას და რომის დემოკრატიზაციას შესწირეს; ადმინისტრაციული და კონსტიტუციური რეფორმებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რომის სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებაში (Masco 2019; Irwin 1989). მათ მიერ გატარებულმა მიწის რეფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მაშინდელი რომის მოსახლეობის დაბალი ფენების მდგომარეობა და ამით გრაკეუსებმა ერთნაირად მოიპოვეს მასების მხარდაჭერა (James, & Wooten 2010:102), მაგრამ სწორედ იმავე რეფორმების გამო, მათ ორთავემ ერთნაირი შეცდომა დაუშვეს - გადაიმტერეს არისტოკრატია; ძმებმა ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ის დინამიკური პროცესი, რომელიც მათი რეფორმების გატარებას მოჰყვა (Dent 2013: 404-405). მათ ორთავეს ერთნაირი დასასრული ჰქონდათ - უდალატეს, მტრები გაიჩინეს და მოვლეს (Irwin 1989:13; Dilworth 1994:321). თუმცა, ფაქტია ისიც, რომ ისინი ერთნაირად შემორჩნენ ისტორიას თავიანთი ლიდერული თვისებების, საგმირო საქმეების, თუ პლუტარქეს წყალობით.

ამგვარად, პლუტარქეს ლიდერის თვისებათა ოპოზიციურობას აქვს სისტემის ხასიათი, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, არ გამოკვეთილა არც ერთი ისეთი თვისება პლუტარქეს ლიდერის მხატვრულ სახეში, რომელსაც შემდეგ არ დაუპირისპირდა საწინააღმდეგო თვისება. ფაქტობრივად, ყველა ნეგატიური თვისება ლიდერის მხატვრულ სახეში პლუტარქესთან, გაწონასწორებულია პოზიტიურით. ეს წარმოადგენს ამ მხატვრულ სახეთა თავისებურებას და, ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმ დიდი ყურადღებისა, რომელიც მათ მიმართ გამოიჩინა მსოფლიო მწერლობამ (შდრ. James, Wooten, & Dushek 2009: 78-80; Caroline 2009: 221).

ბუნებრივია, თავისთავად ეს სისტემა ეფუძნება ადამიანის გონებაში არსებულ მთავარ დაპირისპირებას - პოზიტიური ფუნქციის მქონე არგუმენტი. იმის მიხედვით, თუ როგორ გაიაზრება ამ ლიდერების ფუნქცია - მოძალადეა იგი თუ კეთილის მქმნელი, ხალხის მტერია თუ სიკეთის მსურველი, რეგულირდება მისი მნიშვნელობაც.

ვფიქრობთ, ამ პრობლემატიკის შესწავლა ქართულ კლასიკურ

ფილოლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში კვლევის ახალ ასპექტებს წარმოაჩენს, ხოლო თანამედროვე ლიდერებისთვის აღექსანდრე მაკედონელი, გაიუს იულიუს კეისარი, ფაბიუს მაქსიმუსი, პერიკლე და ძმები გრაკხუსები კიდევ დიდხანს იქნებიან ტონის მიმცემი, მისაბაძი მაგალითები, ხოლო მკითხველისთვის - აღფრთოვანების საგანი იმ დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით, რომლებიც პლუტარქემ უკვდავყო თავის პარალელურ ბიოგრაფიებში.

ლიტერატურა

- პლუტარქე. 2012. პარალელური ბიოგრაფიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი ნაწილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- Bundy, J., & Pfarrer. 2015. „M. D. A Burden of Responsibility: The Role of Social Approval at the Conset of a Crisis“, *Academy of Management Review*, 4, 2015.
- Cammock, P. 1991. *The Characteristics and Behaviors of Effective and Ineffective Managers*. Canterbury: University of Canterbury.
- Caroline, A. 2009. *The War that Killed Achilles: The True Story of Homer's Iliad and the Trojan War*. New York: Viking.
- D'Aveni, R. A., & MacMillan, I. C. 1990. “Crisis and the content of managerial communications: A study of the focus of attention of top managers in surviving and failing firms”. *Administrative Science Quarterly*, 35, 1990.
- Dent. Ch. 2013. “Understanding the Energy Diplomacies of East Asian States”, *Modern Asian Studies*. Vol. 47, No. 3 May, 2013.
- Dilworth, Th. 1994. “The fall of Troy and the slaughter of the suitors: Ultimate symbolic correspondence in the Odyssey”. *Mosaic: A Journal for the Interdisciplinary Study of Literature Jun.* Vol. 27 No. 2, 1994.
- Irwin, T. 1989. *Classical Thought*. Oxford University Press;
- James, E. H., & Wooten, L. P. 2022. “Leadership as (un) usual: How to display competence in times of crisis”. *Organizational Dynamics*, 34, 2022.
- James, E. H., & Wooten, L. P. 2010. *Leading under pressure: From surviving to thriving before, during, and after a crisis*. New York: Psychology Press/ Routledge;
- James, E. H., Wooten, L. P., & Dushek, K. 2009. “Crisis management: Informing a new leadership research agenda”. *Academy of Management Annals*, 5, 2009: 455-493;

თ. მარდალეიშვილი

- Masco, J. 2019. *The Crisis in Crisis . Infrastructure, Environment, and Life in the Anthropocene*. Duke University Press.
- Mazzei, A., & Ravazzani, S. 2015. "Internal crisis communication strategies to protect trust relationships: A study of Italian companies". *International Journal of Business Communication*, 52, 2015.
- Plutarch. 1975. *Parallel lives, in Greek, with an English Translation*. Harvard University Press.

Classics

Oppositions of the Political Leader's Artistic Face In Plutarch's Parallel Lives

Tatia Mardaleishvili

mardaleishvili.tatia@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

The purpose of our research is to show what skills of leadership the statesmen possessed described in Plutarch's Parallel Lives and what the reason of their success or failure was; to what extent Plutarch's and modern definitions of leadership agree; what qualities determine the success or failure of ancient statesmen; why they are still objects of imitation and admiration; how they behave in critical situations; how they interact with the masses; how they manage to influence the people, manage crisis situations; what is more important for them - the state and people or personal interests and ambitions; to what extent were the results of their activities reflected on the welfare of the state and people. We think that the study of this problem will present new aspects of research in Georgian Classical Philology and literary studies. And for modern leaders, Alexander the Great, Gaius Julius Caesar, Fabius Maximus, Pericles, and the Gracchus Brothers will be role models for a long time from now, and for the reader - an object of admiration for the positive or negative qualities that Plutarch immortalized in his Parallel Lives.

Keywords: Plutarkh, parallel lives, political leader.

The phenomenon of the political leader has become a concomitant event of public life since the creation of the state. If we look at history, it is clear from the leaders' biographical portraits how decisive and important role the "firsts" play in the creation of history. The welfare of the state and people essentially depends on the political leaders, in whose hands the reins of management are and who are aware of the importance of their activities for the country.

The study of the phenomenon of the leader in antiquity, which is known to the world for its political figures, should not lack relevance.

The purpose of our research is to show what skills for leadership the statesmen possessed described in Plutarch's *Parallel Lives* and what was the reason of their success or failure; to what extent Plutarch's and modern definitions of leadership agree; what qualities determine the success or failure of ancient statesmen; why they are still objects of imitation and admiration; how they behave in critical situations; how they interact with the masses; how they manage to influence the people, manage crisis situations; what is more important for them - the state and people or personal interests and ambitions; to what extent were the results of their activities reflected on the welfare of the state and people.

Based on the material we have discussed, it is difficult to say whether Plutarch predominantly portrays leaders as positive or as negative characters. To make it more visible, we will try to provide a kind of list of oppositional qualities that can be identified in the reviewed material. These qualities are basically reduced to fundamental oppositional pairs - good/bad. We will try to arrange them in two appropriate graphs, in three groups: 1. Who is Plutarch's leader; 2. How is the leader of Plutarch; 3. What did Plutarch's leader do? The opposition of Plutarch's leader's qualities has the character of a system, moreover, it can be said that there was not a single feature in the artistic face of Plutarch's leader that was not later opposed by an opposite feature. In fact, all the negative qualities are balanced by positive ones in the artistic face of the leader. This is the peculiarity of these artistic types and, perhaps, this is one of the reasons for the great attention paid to them by world literature. Naturally, this system itself is based on the main conflict in the human mind - argument with positive function / argument with negative function. Depending on how the function of these leaders is understood - whether he is violent or benevolent, an enemy of the people or a well-wisher, his meaning is also regulated.

თ. მარდალეიშვილი

I will discuss these issues on the example of the oppositional pairs - Tiberius Gracchus/Gaius Gracchus.

Tiberius and Gaius Gracchus, as political leaders, made a great contribution to the life of the Romans, they differed from each other in character and principles, they possessed different but equally effective keys to success.

Firstly, I will talk about the qualities that both brothers had in common. Plutarch points out: "A rather large difference is clearly visible in the actions and political activity of the young Gracchus." (Plut. Par. Biogr. Tib. Grakh. 2,4-5). However, he points out many similarities between the brothers, "Which was manifested in their bravery and humility, generosity, eloquence and magnanimity" (Tib. Grachk. 2, 6-9). Furthermore he adds: "Justice towards the peasants, bravery during the execution of state affairs, and self-restraint in self-will characterized both of them in the same way" (Tib. Grakhk 2,10-15).

It is interesting to know which was the more successful leader and which characteristic proved to be a hindrance to their rise. It is difficult to discuss this today. It is a fact that the brothers used their ability to communicate with people and the gift of persuading the masses with eloquence with equal success; they devoted their whole lives to the improvement of the condition of the plebs and the democratization of Rome; they made a significant contribution to the improvement of the Roman state apparatus with Administrative and constitutional reforms. The land reform they carried out greatly improved the condition of the lower strata of the Roman population at the time, and thus the Gracchus equally gained the support of the masses. But precisely because of the same reforms, they both made the same mistake - the aristocracy became their enemies; the brothers could not stop the dynamic process that followed their reforms. Both of them had the same end – they were betrayed, made enemies and were killed. However, it is also a fact that they remained in history in the same way thanks to their leadership qualities, heroic deeds, or thanks to Plutarch.

Thus, the opposition of the qualities of Plutarch's leader has the character of a system, moreover, it can be said that there was not a single quality in the artistic face of Plutarch's leader, which was not later opposed by an opposite quality. In fact, all the negative qualities in the artistic face of the leader of Plutarch are balanced by positive ones. This is the peculiarity of these artistic types and, perhaps, this is one of the reasons for the great attention paid to them by world literature. Naturally, this system itself is based on the main opposition in the human mind - argument with a positive function / argument with a negative

function. Depending on how the function of these leaders is understood - whether it is violent or a creator of good, an enemy of the people or a well-wisher, its meaning is also regulated.

We think that the study of this problem will present new aspects of research in Georgian Classical Philology and literary studies. And for modern leaders, Alexander the Great, Gaius Julius Caesar, Fabius Maximus, Pericles, and the Gracchus Brothers will be role models for a long time from now, and for the reader - an object of admiration for the positive or negative qualities that Plutarch immortalized in his *Parallel Lives*.